**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/52

**ქ. ბათუმი** **30 ნოემბერი, 2022 წ.**

**ინტერნეტმომსახურების მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის (№14452744, 14.11.2022) სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/09 30.11.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განახორციელოს ბსუ-ს ინტერნეტმომსახურების (CPV_კოდი 72400000) მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა ბსუ-ს ბიუჯეტის 2023-2024 წლების ასიგნების ფარგლებში, კერძოდ, ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გათვალისწინებული იქნას არაუმეტეს 150 000 ლარი, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში - არაუმეტეს 150 000 ლარი.
2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**
**პროფესორი** **ჯემალ კარალიძე**